საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, პუშკინის ქ. №5 და №7



ხედი თავისუფლების მოედნიდან, 2016წ.






შემსრულებელი
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
თბილისი
ივლისი
2016წ.

საპროექტო ობიექტების მდებარეობა

საპროექტო ობიექტები მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან ზემო კალაში, გარეთუბნის მიჯნაზე (კრწანისის მუნიციპალიტეტი) – **პუშკინის ქ. №5 და №7.** სახლები პუშკინის ქუჩის მჭიდრო განაშენიანებაში იყო მოქცეული (ამჟამად განაშენიანების მარჯვენა მოზრდილი ნაწილი კ. აფხაზის ქუჩისკენ მთლიანად რეკონსტრუირებულია და მის ნაცვლად შენდება ახალი სახლი). ამ სახლების ეზოები ვიწრო გასასვლელებით გადის დიუმას ქუჩაზე, სახლების ფასადები კი თავისუფლების მოედნისკენ და მიმდებარე სკვერისკენ იმზირება.

საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია ამ ნაგებობათა სახურავზე მოეწყოს გადახურული ტერასა.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო


სახლები №№5,7 აღრიცხულია არქიტექტურულ ძეგლებად

ირგვლივ არქიტექტურული ძეგლებია:


სახლები – პუშკინის ქ. №№3...;
სახლები – დიუმას ქ. №№8,10,12,14..;
ქალაქის საკრებულო – თავისუფლების მ. №2

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო (ფრაგმენტი), 2015წ



ზედხედი, 2016წ

უბნის და ნაგებობის ისტორია

ამ ადგილას შუა საუკუნეების თბილისის (კალას) გალავანი სოლოლაკის ქედიდან ჩრდილოეთისკენ ქვემოთ იყო ჩამოზრდილი და ქალაქს ზღუდავდა დღევანდელი **დადიანისა და პუშკინის ქუჩების** გასწვრივ. შემდეგ აღმოსავლეთისკენ უხვევდა და ბარათაშვილის ქუჩის გაყოლებით მდ. მტკვრამდე ჩადიოდა. ამ გალავანში, კ. აფხაზის (ლესელიძის) ქუჩის დასაწყისთან ორ, მართკუთხა ბურჯს შორის გამართულ კარიბჭეში **(„კოჯრის კარი“)** შედიოდა თბილისში რუსეთიდან მომავალი გზა. XIXს-ში თბილისი ამ გალავნის მიღმა გავრცელდა. ქვემო კალადან დადიანის ქუჩის ზემოთ სოლოლაკი განვითარდა, ზემო კალას მიღმა კი – გარეთუბანი.

XIXს-ში ქალაქი ვითარდება და თანდათან ყალიბდება მოედანი „კოჯრის კარის" მიმდებარე სივრცეზე. ამავე დროს მოანგრიეს გალავნის კედელი. აქ წარმოქმნილ მოედანს **„ერევანსკის მოედანი"** ეწოდა, 1828 წელს რუსეთის არმიის მიერ ქ. ერევნის აღების აღსანიშნავად და მხედართმთავარ გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის პატივსაცემად. ერევანსკის მოედნი ერთ და ორსართულიან სახლებით იყო შემოფარგლული (ერთ-ერთ ასეთ სახლში (№7) ყოფილა გაჩერებული ა. პუშკინი 1829წ. თბილისში ყოფნის დროს გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკი" 1851წ.). 1851 წ. მოედნის ცენტრში არქიტ. სკუდიერიმ ააგო ე.წ. იტალიური ოპერისა და თამამშევის ქარვასლის ერთიანი შენობა. ბატონყმობის გაუქმებამ და ბურჟუაზიულმა რეფორმებმა 1860-იან წლებიდან უფრო დააჩქარა და გაზარდა ქალაქთმშენებლობა. 1880-იან წწ. **აქ გამავალ ქუჩას დაერქვა პუშკინის სახელი.**



ერევანსკის მოედანი, XIX ს-ის დასასრული

XXს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება. XXს-ის პირველ მეოთხედში პუშკინის ქუჩის და მიმდებარე ტერიტორიის სტრუქტურა აღარ შეცვლილა, თუმცა იცვლებოდა სახლების გაბარიტები და გარეგანი სახე – ხის კიდულ აივნებიან პატარა სახლების ადგილს იკავებს ორ-სამსართულიანი ეკლექტიკურ ფასადებიანი სახლები.

სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა 1930-იან წლებში, როდესაც მოედანზე დაინგრა თამამშევის ქარვასლა და მოედანმა მიიღო თავისუფალი სივრცე. ამავე დროს დაშენდა და ფასადები შეეცვალა რამდენიმე სახლს. ეს ცვლილებები კარგად ჩანს საარქივო ფოტოებზე.

პუშკინის ქუჩაზე ერთგვაროვანი მწკრივული განაშენიანებაა – ცოკოლის სართულზე შემდგარი ორ-სამსართულიანი სახლები ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული საფასადო მოტივებით. ფასადების მხატვრულ სახეს განსაზღვრავს I სართულების ფართო ღიობები, ნალესობით გამოყვანილ სარკმელთა სათაურები, სარტყლები და ლავგარდნები. გამონაკლისს წარმოადგენს ნეპრინცევის მიერ 1935წ. გადაკეთებული ეკლექტიკური შენობა, კონსტრუქტივისტული მოტივებით.

- საარქივო ფოტოების ანალიზი



პუშკინის ქუჩა – 1900-იანი წწ. დასაწყისი




პუშკინის ქუჩის ხედი 1935 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ – 1938წ.

თავდაპირველად აქ იდგა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც კერძო პირებს ეკუთვნოდა (თბილისის 1897 წლის საკადასტრო გეგმა). ეს ნაგებობები აღბეჭდილია XIXს-ის ბოლოს საარქივო ფოტოებზე. 1902 წელს არქიტექტორმა ალ. შიმკევიჩმა №5 სახლის ნაცვლად ააგო ყოფილი „თბილისის პასაჟის“ შენობა. 1935 წელს ეს შენობა – №5, გვერდით მდგომ ნაგებობასთან ერთად – №7, გადააკეთა არქიტექტორმა მიხეილ ნეპრინცევმა. მათ დააშენა თითო სართული და ფასადები გააწყო ერთიან ნეოკონსტრუქციულ არქიტექტურულ სტილში. გვერდით დგას ალ. ზალცმანის მიერ 1903 წელს დასრულებული „თბილისის საკრედიტო საზოგადოების“ შენობა.



2000-იანი წწ



2011წ

„თბილისის საკრედიტო საზოგადოების“ შენობის ადმინისტრაციულ კორპუსს 1990-იან წლებში დააშენეს IV სართული და მანსარდა ორი სფერული გუმბათით (არქიტექტორები: ნ. სარალიშვილი, ზ. ისაკაძე, ზ. ფილიშვილი. დღეს ამ შენობაში საქართველოს ბანკია). 2000-იან წლებში ზალცმანის შენობის დანარჩენი მარცხენა ნაწილი დაანგრიეს და დაპროექტდა ახალი მოზრდილი ნაგებობა რომლის მშენებლობა ამჟამად სრულდება. დარჩენილია ზედა ტერასის მშენებლობა და საფასადო სამუშაოები.

2011 წელს დაიწყო №5 და №7 სახლების რეკონსტრუქცია. ამ ორ, ოდნავ განსხვავებული სიმაღლის, შენობას დაემატა რამდენიმე სართული და სიმაღლე გაერთმნიშვნელოვანდა. ასევე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ზალცმანისეულ შენობას. მოიხსნა სფერული გუმბათები და მათ ნაცვლად ცენტრში აქცენტირებული მოცულობა დაპროექტდა.

დოკუმენტაცია – საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის ფონდ №192-ში დაცულია თბილისის 1897 წლის საკადასტრო გეგმა. სადაც ეს შენობობი აღნიშნულია, როგორც კერძო მფლობელების საკუთრება.

საქართველოს ცენტრალურ ტექნიკურ არქივში, დაცულია ასევე 1930-იან წლებში ამ შენობების მიხეილ ნეპრინცევისეული რეკონსტრუქციის პროექტი (ე.წ. „თბილისის პასაჟის“). 1990-იანი წწ. რესტავრაციის მასალების ადგილმდებარეობა გაურკვეველია;

საარქივო ფოტოები – შემორჩენილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის რამდენიმე პანორამული ფოტო სადაც აღბეჭდილია ეს ნაგებობა. საქართველოს ცენტრალური ფოტო-ფონო-კინო არქივის ფონდები: ფოტო, ფონდი №799-8, №799-193; ფ. №2-14538, №2-14571, №2-853, №2-854, ფ. №1-78; პროკუდინ-გორსკის ფერადი ფოტო №20072u.

ძველი თბილისის გეგმები – თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის („ქარვასლა”) საარქივო ფონდები: თბილისის გეგმები 1898წ, 1902წ, 1913წ.


შეფასება:

კულტურულ ისტორიული – ადგილმდებარეობით და სტილისტიკით ეს ნაგებობები გამოყოფენ შუა საუკუნეების ქალაქს XIXს-ის ბურჟუაზიული თბილისისგან. ნაგებობა №5 იყო ერთ-ერთი პირველი თანამედროვე სავაჭრო შენობა. საკუთარი ხუროთმოძღვრული მნიშვნელობის გარდა იგი ღირებულია, როგორც იმ ეპოქის თბილისის განაშენიანების მნიშვნელოვანი კომპონენტი. ამგვარი ნაგებობები განსაზღვრავდნენ XIX-XXსს-ის პირველ ნახევარში თბილისის ჩამოყალიბებას ევროპული ტიპის ქალაქად. ამ ნაგებობობათა არსებობა უპირობო აუცილებლობა უნდა იყოს;


მხატვრულ-რქიტექტურული – თავისი სტრუქტურით ეს ნაგებობები მნიშვნელოვანია როგორც XX საუკუნის ოცდაათიანი წლების კონსტრუქტივისტული და კლასიცისტური სტილების ნაზავი, რაც შემდეგ გახდა ე.წ. სტალინური არქიტექტურის საწინდარი. ეს შენობები თბილისის საზოგაროებრივი და საცხოვრებელი სახლების განსაზღვრული ტიპის სახე და სამშენებლო ხელოვნების ერთ ერთი ეტაპის ამსახველი რეალობა. ნაგებობები ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილმდებარეობას.

სტატუსი – ეს ნაგებობობები მიჩნეულია არქიტექტურულ ძეგლებად. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1.


დასკვნა და რეკომენდაციები:



1930-იანი წწ.



2000-იანი წწ.



2016წ.



ხედი მთაწმიწდიდან, 2014წ.

ამგვარად დადგინდა, რომ XIXს-ის ბოლო მეოთხედში აგებული შენობები რამდენჯერმეა გადაკეთებული და გარკვეულწილად შეცვლილია მათი ფასადების სახეც. აქვე აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ნაგებობები განსხვავდებოდნენ როგორც მოცულობით ასევე სტილითა და ფორმებით. შემდეგ კი მოხდა მათი ფასადების გაერთმნიშვნელოვნება და საბოლოოდ დასახსრული მაგრამ ერთი მოზრდილი მოცულობის შექმნა ერთი დონის საერთი გადახურვით.

დაახლოებით ასეთივე ტიპის რეკონსტრუქცია ჩაუტარდა გვერდით მდგომ №3 ნაგებობას. მის გვერდით კი ზალცმანის სამსართულიანი სახლის ნაცვლად ექვსართულიანი სახლი აშენდა ზედა ერთიანი ტერასით.

ამის შედეგად თავისუფლების მოედნის ამ ნაწილის განაშენიანებამ ახალი მასშტაბი და ფორმები შეიძინა.

აქ სასურველი არ იყო მარჯვენა შენობის ამგვარი გაზრდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ეს პროექტი განხორციელდა უკვე განაშენიანების მარცხენა ფრთა დარჩა „ჩავარდნილი“, რამაც განაპირობა მისი სიმაღლეში გაზრდა.

ტერასის მოწყობაც განაშენიანების ამ მარცხენა მონაკვეთზე იგივე მოსაზრებით არის განპირობებული და შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი საერთო კომპოზიციის დამასრულებლად წარმოჩინდება.

მნიშვნელოვანია, რომ ესკიზური პროექტი და ფოტომონტაჟი შესრულდეს განაშენიანების ფართო ხედზე, სხვადასხვა რაკურსებიდან ზედხედის ჩათვლით;

ასევე მნიშვნელოვანია შესასრულებელი სამუშაოს მაღალი ხარისხის გარანტია.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
29. 07. 2016